# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

## მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 91 | ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 1918 წ. | № 91



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


დამწუხრებული ილია ილარიონის ძე თაყაიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ჭიათურაში უდროოდ გარდაიცვალა მისი ძვირფასი ნათლია

**ილია (ილიკო) ლაზარესძე**

**მიქაძე.**

დაკრძალვა და დროებით დასაფლავება მოხდება 14 ნოემბერს ქ. ჭიათურაში.

## ტფ. მაზრის სამხედრო უფროსი

აცხადებს, რომ მის სამმართველოში ინახება ბრძოლის ველიდან გადმოგზავნილი ნივთები სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებისა და ეკუთვნიან შემდეგ პირებს: 1) პორუჩიკ აბერტინსკის (78 ნავაგ. პოლკ) ჩემოდანი ნივთებით და კრაოტი; 2) ვილკოვსკის (79 პოლკ) ჩემოდანი ნივთებით; 3) ჟორნიევს (80 კაბარდ. პოლკ) ტომარა ნივთებით; 4) ხარჩენკო (ყაზახი)—ტომარა ნივთებით. ამა ნივთების პატრონებს იწვევს ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსი გამოცხადნენ სამმართველოში (ვოგზლის ქუჩა, № 24) ექვსი თვის ვადაზე და თან უნდა ჰქონდეთ კანონიერი საბუთები ზემოთ აღნიშნულ ნივთების კუთვნილებისა. თუ აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, ნივთები გაიყიდება აუქციონით და ფულები სახაზინოთ ჩაირიცხება.

ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსი პოლკოვნიკი **ჟლენტი.**

## ტფილისის მაზრის
## უფროსი მმართველი

აცხადებს, რომ 22 ნოემბერს, 12 საათზე დღით, სამწერლო სამმართველოში
(ვოგზლის ქუჩა, № 24)

**მოხდება გაყიდვა აუქციონით:**

1) ნივთები, გადმოგზავნილი ბრძოლის ველიდან, აფიცრებისა და ჯარის-კაცებისა, რომელთა პატრონნი არსად სჩანან. 2) სამეურნეო ნივთები, რომლებიც გაფუჭებულნი არიან. 3) შესახვევი ქაღალდი.

ტფ. მაზრის სამხედრო მმართველი პოლკოვნიკი **ჟლენტი.**

## ტფილისის მაზრის
## სამხედრო უფროსი

**იწვევს მწერლებს**

რომლებსაც შეუძლიათ საქმის წარმოება და აგრეთვე ბეჭდვა ქართულ საწერ მანქანაზე და უნდა იყვნენ მცოდნენი ნაწილებისა: 1) საწყობილო სამეურნო, სათადარიგო და სამხედრო საკრებულოსი ახალგაზრდათა ჯარში გაწვევისა. მსურველთ შეუძლიან გამოცხადნენ ყოველ დღე 10—15 საათამდე, გარდა უქმეებისა.

ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსი პოლკოვნიკ **ჟლენტი.**

## საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა

ამა წლის გიორგობისთვის 23-ს ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ. № 11, საქართველოს სახალო სახლი) მოწვეულია საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა.

პარტიის თითეული ასი წევრი გზავნის ყრილობაზე ერთ წარმომადგენელს, ხოლო იმ ადგილებიდან, სადაც მოიპოვება არა ნაკლებ პარტიის ოცი წევრისა, იგზავნება ყრილობაზე აგრეთვე თითო წარმომადგენელი.

ყრილობის წესრიგი: 1) მთავარ კომიტეტის მოხსენება, 2) საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება, 3) მომენტი და ტაქტიკა, 4) საპარლამენტო ფრაქციის პოზიცია, 5) აგრარული საკითხი, 6) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 7) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 8) მთავარ კომიტეტის არჩევნები. ყრილობა გაიხსნება შუადღის თორმეტ საათზედ.

3—141—3.

**მთავარი კომიტეტი.**

## სახელმწიფო თეატრი

**ორშაბათს, 18 ნოემბერს**

ქართ. დრამატიული საზოგადოების ახალი დასი ხსნის სეზონს ბრიეს 5 მოქ. მუსიკალური დრამით

**„სარწმუნოება“**

პიესა რამდენჯერმე განმეორდება. სხვა და სხვა ანსამბლით. შემდეგი წარმოდგენები: „ლალატი“, „მსხვერპლი“, „ბურუსი“, „ვითა ფოთლები“ და სხვა.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. ადმინისტრ. მიხ. ხერხეულიძე.

## საწერ მანქანებს

**ქართულ ენაზე ვიღებ გადასაკეთებლად.**

შრიფტი ფოლადისაა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება ტეხნიკურ კანტორაში ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკისა,

1020 ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1, ტელ. 16—36. 4—1

## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

## ქართული ლატარია

5 000 000 მან.

**ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.**

**პირველი მოგება 100000 მანეთია**

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

***

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!

მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას!

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

**ოფიციალური განყოფილება**

## მოწოდება

**ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებლებისადმი ჯარების უფროსისა და დროებით იმ მაზრების გენ.-გუბერნატორის მიერ.**

I

მოქალაქენო! ოსმალთა ჯარები, რომელთაც უნდა დაეცალათ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ვითომდა სხვა და სხვა მიზეზების გამო, აგვიანებენ დაცლას და ამ დროს კი გააქვთ აღნიშნულ მაზრებიდან სურსათი, მცხოვრებლებისგან ჩამორთმეული ოქროსა და ვერცხლის ნივთები, სახლის მოწყობილობა, ჭურჭელეულობა და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლება. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მოპყრობა ოსმალთა ჯარების სხვისი საკუთრებისადმი, ხელს შეუწყობს არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლების დაღარიბებას, არამედ მათ სრულ გაღატაკებასაც კი. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს საქართველოს მცხოვრებლების კეთილმდგომარეობას, განურჩევლად ეროვნებისა, იძულებული იყო შემდეგი რადიკალური ზომები მიეღო ოსმალთა მძარცველ ჯარების წინააღმდეგ: გაგზავნილ იქნას ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში რაზმი ჩემი ჯარებისა, ჩემი ხელმძღვანელობით და ამ მაზრებში გამოცხადდეს სამხედრო წესები.

მთავარი მიზანი ამ მაზრებში სამხედრო ნაწილების გაგზავნისა არის ადგილობრივ მცხოვრებთა სიცოცხლის და მათი ქონების დაცვა და აგრეთვე წესრიგისა და მშვიდობიანობის დამყარება.

ამის გამო მოგიწოდებთ თქვენ, ახალციხისა და ახალქალაქის მოქალაქენო, სრული ნდობით მოეპყრათ მთავრობისადმი მიღებულ ზომებს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ საქართველოს ჯარებს,რათა მათ დაუბრკოლებლივ შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა, საერთო ძალით დაიცვან სიცოცხლე და ქონება თავისი და თავის ცოლშვილისა. ვიმედოვნებ, რომ მცხოვრებლების მხრივ გულწრფელი დახმარებით მე მივახწევ საქართველოს მთავრობის მიერ დასახულ მიზანს და მოკლე დროში აღვადგენ დასახლებულ რაიონებში სრულ წესრიგს.

გენერალ-მაიორი მაჭავარიანი.

II

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მყოფ ჯარების უფროსათ დანიშნული ვარ მე დროებითი გენერალ-გუბერნატორის უფლებით.

ვაცნობებ რა ამას დასახელებულ მაზრების მცხოვრებთ, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გავაფრთხილო ყველა, რომ ამ მაზრებში, ჩემს განკარგულებაში მყოფი, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შემოსვლას მიზნად აქვს თავიდან აიცილოს უწესოება, რომელიც მოსალოდნელია მოჰყვეს დასახელებულ მაზრებში ოსმალთა ჯარის ევაკუაციას. მიზნად აქვს აგრეთვე ყაჩაღთა ბრბოების მოსპობა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მტრული გამოსვლის აღმოფხვრა.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ჯარების შემოსვლის შემდეგ, მე, ჩემის მხრივ, მივიღებ ყოველნაირ ზომებს, რომ ჯარი მართლაც გამოდგეს მშვიდობიანი მცხოვრებთა ინტერესების დამცველი და დაიფაროს მათი სიცოცხლე და ქონება არა სასურველი ელემენტებისაგან.

ყოველნაირ ძალადობისა და უკანონო მოქმედებისაგან ჯარის მხრივ, მშვიდობიანი მცხოვრებნ უზრუნველყოფილი იქნებიან მასთან თითოეული შეურაცხყოფილი მიიღებს ჩემგან სრულ კმაყოფილებას და დამნაშავე დასჯილი იქნება არსებული კანონის სრული სისასტიკით. მუსულმანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ არც ერთი მათგანი არ იქნება საქართველოს ჯარში გაწვეული; მათი სარწმუნოება და ჩვეულებები ხელშეუხებელი დარჩება და თითოეული მათგანის არსებობა დაცული იქნება არსებული კანონით.

ჩემის მხრივ ვსთხოვ მშვიდობიან მცხოვრებთ დამეხმარონ მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარებაში ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში და დახმარება აღმოუჩინონ ჩემდამი რწმუნებულ პირებს სოფლის არასაიმედო ნაწილში ბოროტების და დამნაშავეთა მოსასპობად, ესე იგი მძარცველები, ქურდები, ყაჩაღები და ის პირნი, რომელნიც მტრულად არიან განწყობილნი ჩვენი მთავრობის მიმართ.

გენერალ-მაიორი **მაყაშვილი**

# განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი**

30 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 80.

დანიშნულ იქმნენ: აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწეებად ტფილისის მაზრაში გ. დ. მახათაძე და ქ. ტფილისში ნ. კ. სრესელი, ორივენი ამა წლის პირველ ნოემბრიდან.

9 ნოემბერი, 1918 წ.

№ 81.

დანიშნულ იქმნა: ყოფილ მეშვიდე საქციზო ოლქის მაგარ სასმელების უფროსი კონტროლიორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ნიკიტინი აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ქ. ტფილისში ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული.

**საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.**

11 ნოემბერი, 1918 წ.

№ 38.

დანიშნულ იქმნენ: იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო ნაწილის საქმის მწარმოებლად არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი, ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

იმავე საკოდიფიკაციო ნაწილის ექსპედიტორად არტემ ანტონის ძე სიხარულიძე, ამა წლის პირველ ნოემბრიდან.

იუსტიც. მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი

# ხარჯთ-აღრიცხვა

**ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე დროებითი მიმოსვლის გასამართავად დასამთავრებელ სამუშაოსი შავი ზღვის რკინის გზაზე.**

1. გზის სიგრძე
ა. უმთავრესი ლიანდაგი . . . . . . . . . . . 40 ვერსი.
ბ. სადგურის ლიანდაგი . . . . . . . . . . . 8 ვერსი.
ს უ ლ . . 48 ვერსი.

| ხარჯთ-აღრიცხვის დანაწილება. თავი. | მუხ. | §§ | სამუშაოს სახელწოდება. | რაოდენობა. | ფასი ერთეულისა. მან. | ჯ ა მ ი. §§ ბის მიხედვით. მანეთობით. | მუხ. მიხედვით. მანეთობით. | თავის მიხედვით. მანეთობ. | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ლ ი ტ. ა.** | | | | | | |
| | | | **ფასი სამუშაოსი და დამზადებ-მიწოდებისა.** | | | | | | |
| | | | თ ა ვ ი I. | | | | | | |
| | | | **ქონების ჩამორთმევა.** | | | | | | |
| I | | | მიწის შეძენა, შენობის დანგრევა, სასყიდელი ადგილის დროებით დაჭერისა, ნათესისა და სათიბის მოსპობისა და სხვა ზარალისათვის, დამზადება და ჩაყრა საზღვრების ნიშნების და აგრეთვე შენახვა ჩამომრთმევ ადმინისტრაციისა, დაქირავება მისთვის შენობისა კანტორისათვის, ფოსტა-ტელეგრაფის და კანცელარიის ხარჯითურთ. შედგენა პლანებისა, საგზაო, გადასვლისა და სხვ. საჭიროებისათვის . . . . . . . . . . . | — | — | — | — | 500000 | I თავისთვის. ვინაიდან გამოურკვეველია, რამდენად არის შესრულებული შავი ზღვის რკინის გზის მმართველობისაგან ჩამორთმევის საქმე და აგრეთვე ვინაიდან საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საქმე მხოლოდ დაწყებულია, ხარჯთ-აღრიცხვაში ჯამი 500.000 მ. იმ პირობით არის შეტანილი, რომ კრედიტის დახარჯვა ამ თავის მიხედვით მოხდეს გზათა მინისტრის საბჭოს ნებართვით. |
| | | | სულ I თავის ხარჯი | — | — | — | — | 500000 | |
| | | | თ ა ვ ი II. | | | | | | |
| | | | **გაყვანა მიწის ლიანდაგისა.** | | | | | | |
| II | 1 | ა | მიწის სამუშაო მთავარ ლიანდაგისა, —ოთხ-კუთ. საჟ. . . . . . . . . . | 6500 | 50 | 325000 | — | — | |
| | | ბ | მიწის დამატებითი სამუშაო სამთო და შემოსარები არხების გასაყვანად, მდინარეთა კალაპოტის გასასწორებლად, ბერმის დასაყრელად, მდინარეთა ნარიყალთან ლიანდაგის გასაგანიერებლად, ჯვარედინებზედ გზის გადასახვევად, გადასასვლელის გასაკეთებლად, საგზაო შენობებისთვის ქვეშ ნიადაგის გასასწორებლად და სხვ. ოთხკუთ. საჟ. . . . . | 1500 | 50 | 75000 | 400000 | — | |
| | 2 | | მიწის სამუშაო სადგურებისათვის მოედნების გასაკეთებლათ,—ოთხ. კუთ. საჟ. | 2500 | 50 | — | 125000 | — | |
| | 3 | | შეკეთება და გამაგრება დაყრილ ნიადაგის, ორმოების და არხების ფერდობებისა,—ვერსი . . . . . . . . . . | 40 | 1000 | — | 40000 | — | |
| | 4 | | გამაგრება მდინარეების კალაპოტისა და ხიდის კონუსებისა და მილებისა,—მოკირწყვლით,—ოთხ. კუთ. საჟ. . . . | 4000 | 45 | — | 180000 | — | |
| | 5 | | გზატკეცილის ზედაპირის გაკეთება გზის გადახვევისას . . . . . . . . . | 250 | 60 | — | 15000 | — | |
| | | | სულ მე-II თავის ხარჯი | — | — | — | — | 760000 | |
| | | | თ ა ვ ი III. | | | | | | |
| | | | **ხელოვნური ანაგები.** | | | | | | |
| III | 1 | ა | ბეტონის დაგება დასაყრდნობისათვის ბალავერის ამოყვანით,—ოთხ. კუთ. საჟ. | 55 | 900 | 49500 | — | — | |
| | 2 | ბ | ხიდის თვლის დროებითი ხის თაღები სიგრძის საჟ. . . . . . . . . . . . | 80 | 9000 | 160000 | 209500 | — | |
| | 3 | | დროებითი ხის ხიდები ხისავე ბურჯებით,—სიგრძის საჟ. . . . . . . . | 50 | 3000 | — | 150000 | — | |
| | | | სულ მე-III თავის ხარჯი | — | — | — | — | 359.500 | |
| | | | თ ა ვ ი IV. | | | | | | |
| | | | **ზედა ნაშენი.** | | | | | | |
| IV | 1 | | ქვიშა საბალასტო ნაფენისათვის გზასა და გზას შუა დასაყრელად და დაწეულ ლიანდაგის გასასწორებლად, თუ ვივარაუდებთ ას სამოცდა ათ ოთხკუთხ საჟენს 1 ვერსზე და ნაფენის სისქეს საშუალოდ 0,18 საჟ. 48 ვერსზე,—ოთხ. კუთ. საჟ. . . . . . . . . . . . . | 8160 | 80 | — | 652800 | — | მე-2-ე მუხლისათვის. აქამდე დაგებულია 19 ვერსი მთავარი გზის და 1 ვერსი სასადგურო; დარჩენილია დასაგებად 28 ვერსი. შპალები დამზადებულია. ამისთვის მათი ფასი აღნუსხული არ არის. |
| | 2 | | შპალი 1530 თვითეულ ვერსზე, თუ 2°/ₒ მივიღებთ დანაკარგს, სულ ცალი . | 42840 | — | — | — | — | მე-3-ე მუხლის § ა-თვის. რელსი ტიპ. III-a სამაგრებითურთ დამზადებულია. ამისათვის ფასი ნაანგარიშევი არ არის. |
| | 3 | ა | რელსები ფოლადის ტიპი III a სამაგრებითურთ მთავარი და სამგზავრო ლი ნდაგისათვის,—ვერსი . . . . . . | 21 | — | — | — | — | |
| | | ბ | რელსი ფოლადისა ტიპი III a სამაგრებითურთ დანარჩენი სასადგურო ლიანდაგისათვის, ვერსი . . . . . | 7 | — | — | 10000 | — | მე-3-ე მუხლის § ა-თვის. რელსები ამ დანიშნულებისათვის არ არის; განზრახულია მათი მიღება რესპუბლიკის რკინის გზის სადგურების უმოქმედო ლიანდაგებიდან, ამისთვის რელსების ფასი ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი არ არის. შეტანილია მხოლოდ 10.000 მან. რელსების აყრისა, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის ხარჯისათვის სამსახურის ტარიფის მიხედვით. |
| | 4 | ა | დაგება რელსებისა და საამისო მასალის მიზიდვა სადგურებიდან სამუშაო ადგილს, ლიანდაგის გამაგრება და გამართვა, ვერსი . . . . . . . . . . | 28 | 2500 | 70000 | — | — | |
| | | ბ | ლიანდაგის აწევა სათანადო სიმაღლეზე და ამოსწორება ჩამჯდარი ადგილების,—ვერსი . . . . . . . . . . . | 48 | 1500 | 72000 | — | — | |
| | | გ | ლიანდაგის მოვლა საექსპლოატაციოდ გადაცემამდე,—ვერსი . . . . . . . | 48 | 1250 | 60000 | 202000 | — | |
| | 5 | | შეკეთება სამოძრაო შედგენილობისა. | — | — | — | 46000 | — | |
| | | | სულ მე-IV თავის ხარჯი. | — | — | — | — | 910800 | |
| | | | თავი V. | | | | | | |
| | | | **ლიანდაგის კუთვნილებანი.** | | | | | | |
| V | 1 | ა | ვერსის მაჩვენებელი ბოძები, აღმართ დაღმართის ნიშნები, მოსახვევების მაჩვენებელი, სადარაჯოს ნიშნები, სამუშაო ნაწილების და უბნების მაჩვენებელი, წყლის საზომი და საზღვრის ბოძკინტები,—ვერსი . . . . . . . . . . . . . | 40 | 300 | 12000 | — | — | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გ | ბაირაღები და გზის შესაკეთებელი ხელსაწყო . . . . . . . . . . . . | 40 | 750 | 30000 | 42000 | — | |
| | | | სულ მე-V თავის ხარჯი. | — | — | — | — | 42000 | |
| | | | თავი VI. | | | | | | |
| | | | **ტელეგრაფი.** | | | | | | |
| VI | 1 | | გაყვანა მე-2 სატელეგრაფო მავთულისა, იზოლიოტორებით და კავებით და მავთულებისა სახელმწიფო ტელეგრაფის სადგურებთან შესაერთებლად . | — | — | — | 20000 | — | |
| | 2 | | სენაკიდან სოხუმამდე, ტელეგრაფისა და მოსამსახურეთა შენახვა გზის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე . . . . . | — | — | — | 45000 | — | |
| | | | სულ მე-VI თავის ხარჯი. | — | — | — | — | 65000 | |
| | | | თავი VII. | | | | | | |
| | | | **სადარაჯო სახლები, კაზარმები და გადასასვლელები.** | | | | | | |
| VII | 1 | | სადარაჯო შენობები დროებითი, ფარდულის ტიპისა,—ოთხ. კუთ. საჟ. . | 55 | 800 | — | 44000 | — | |
| | 2 | | აგრეთვე ყაზარმები და მცირე ყაზარმები სარემონტო არტელისა და გზის ოსტატებისათვის ოთხკუთ. საჟ. . . . | 85 | 800 | — | 68000 | — | |
| | 3 | | გადასასვლელები რელსების დონეზე, —ყოველგვარი მოწყობილობით,—გარდა მიწის სამუშაოსი, რომელიც აღნუსხულია მე-II თავში,—ცალი . . . . . . | 30 | 2500 | — | 75000 | 187000 | |
| | | | სულ მე-VII თავის ხარჯი | — | — | — | — | 187000 | |
| | | | თავი VIII. | | | | | | |
| | | | **სადგურის შენობები.** | | | | | | |
| VIII | | | შენობა მგზავრთათვის და სადგომები დროებითი ფარდულის ტიპისა,—ოთხკ. საჟ. . . . . . . . . . . . . . . | 160 | 800 | — | 128000 | — | |
| | | | სულ მე-VIII თავის ხარჯი | — | — | — | — | 128000 | |
| | | | თავი IX. | | | | | | |
| IX | 1 | | წყლის მიწოდება სადგურებისათვის გაკეთება 2 დროებითი წყალსადენისა, თავის მოწყობილობით და ხის აუზით, ცალი . . . . . . . . . . . . . | 2 | — | — | 50000 | — | |
| | | | სულ მე-IX თავის ხარჯი | — | — | — | — | 50000 | |
| | | | თავი X. | | | | | | |
| | | | **სადგურის კუთვნილებანი.** | | | | | | |
| IX | 1 | ა | გაწყობა ისრებისა თავის ჯვარედინითა შპალებზე,—ცალი . . . . . . . . | 15 | 500 | 75000 | — | — | მე-X-ე თავის I მუხლის § ა-თვის. სემაფორების მაღება განზრახულია სახაზინო რკინის გზის უმოქმედო ასაქცევებიდან, რის გამო მათი ფასი აღნუსხული არ არის. |
| | | ბ | დროებითი ჩიხის გამართვა,—ცალი . | 4 | 300 | 1200 | — | — | |
| | | გ | აშენება მეისრის სადარაჯოსი . . . | 2 | 800 | 1600 | — | — | |
| | | დ | სემაფორების მოტანა და დადგმა ცალი . . . . . . . . . . . . . . . | 4 | 500 | 2000 | 12300 | — | |
| | | | დადგმა ნავთ-ვარვარა ფარნებისა სადგურებზე,—ცალი . . . . . . . . | 4 | 1000 | — | 4000 | — | |
| | | | სულ მე-X თავის ხარჯი | — | — | — | — | 16300 | |
| | | | თავი XI. | | | | | | |
| | | | **საერთო ხარჯი** | | | | | | |
| XI | 1 | | ადმინისტრაციის და სანიტარული ნაწილის შენახვა, ხარჯი საკანცელარიო გადასვლისა და სხვ. . . . . . . . | — | — | — | 350000 | — | |
| | | | სულ მე-XI თავის ხარჯი | — | — | — | — | 350000 | |
| | | | თავი XII. | | | | | | |
| | | | **მოულოდნელი ხარჯები.** | | | | | | |
| XII | | | მოულოდნელი ხარჯი ამ ხარჯთ-აღრიცხვისთვის მე-II-დან მე-X თავამდე აღნიშნულ ჯამის ერთის და ერთი მეოთხედი % ანგარიშით . . . . . . . | — | — | — | 31400 | — | |
| | | | სულ მე-XII თავის ხარჯი | — | — | — | — | 31400 | |
| | | | საერთო ჯამი ხარჯთ-აღრიცხვისა | — | — | — | — | 3400000 | |

1918 წ. ნოემბრის 5.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# საექიმო-სასანიტარო საქმე

მიხეილის საავადმყოფოში, ამ რამდენიმე დღის წინად, ექიმთა კოლეგიამ ექიმ-ქირურგის არჩევანი მოახდინა. როგორც საზღვარგარედ, ისე რუსეთშიაც, როცა დიდი საავადმყოფო, ერობა ან სხვა დაწესებულება დიდს პასუხსაგებ ადგილზედ იწვევენ ექიმს, კანდიდატების კონკურს აცხადებენ. ირჩევენ იმ კანდიდატს, რომელსაც მეტი მეცნიერული ღირებულება, მეტი სპეციალური ნაწერები, ხანგრძლივი სამსახური და გამოცდილება აღმოაჩნდება. მიხეილის საავადმყოფოს ექიმთა კოლეგიამ კი ამ გზას გვერდი აუქცია.

—

ქ. ტფილისში 4—7 ნოემბრამდე ხოლერით ავათ გამხდარა 5 კაცი, რომელთაგან 4 გარდაცვლილა.

—

ქ. სიღნაღის მაზრის ერობის განკარგულებაში, თანახმად სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის თხოვნისა, ქ. სიღნაღში გაიგზავნა 5 ექიმი და 5 ფერშალი ინფლუენციის ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

—

ქ. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილება იტყობინება, რომ 15—22 ოქტომბრამდე ხოლერით ავათ გახდა 18 კაცი. ს. დვაბზუში 12 კაცი, ს. ჭალაში 5 კაცი, ს. ლიხაურში 1 კაცი.

—

საექიმო სასანიტარო განყოფილების მე-5-თე სამკურნალო ბანაკში, რომელიც ქ. ხაშურში იმყოფება, ოქტომბერში გადამდები სენით წოლილა ხოლერით—8 კაცი, მუცლის სახადით—12, წინწკლოვანი სახადით—8, ფილტვების ანთებით—5, ინფლუენციით—7, სულ 50 კაცი; სექტემბრიდან დარჩენილი 17 ავადმყოფი იყო. სულ 67 კაცი, მათგან მომკვდარა—16 კაცი, მორჩენილა—34, დარჩენილა საავადყოფოში 17 კაცი. ბანაკის გამგე ექიმი იტყობინება, რომ გადამდები სენით ავადმყოფთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ექიმი ლი.

# ლტოლვილნი.

ბორჯომი, 12 ნოემბერი. მხოლოდ დღეს წავიკითხე გაზეთებში იმ გამოსვლების შესახებ, რომელსაც რამოდენიმე პირი და ბეჭდვითი ორგანო ლტოლვილთა საკითხის გარშემო საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს ჯარის უფროსთა წინააღმდეგ აწარმოებდა. ლტოლვილთა საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული ოსმალეთის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩვენზე გადმოცემის საკითხთან. აზრად გვქონდა ჩაგვეყვანა იქ ჯარი, აღგვედგინა წესიერება და უზრუნველ გვეყო ლტოლვილთა დაბრუნების უშიშროება, და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვებრუნებია ლტოლვილნი. ყველა ჩემ დაბეჯითებით მოთხოვნაზე, რომ ჩვენი ჯარი გაეშვა ოსმალეთის სარდლებს, ისინი გვიპასუხებდენ, რომ ამის შესახებ მთავარ-სარდლისგან ბრძანება არა აქვთ, და მხოლოდ ერთი კვირის უკან ოსმალეთის ჯარის უფროსმა მიიღო ეს ბრძანება, მაგრამ იქ არ იყო ნაჩვენები მაზრების გადმოცემის ვადა და რიგი. ვხედავდი რა, რომ პირობის ასრულებას ოსმალები აგვიანებდენ, ლტოლვილთა მდგომარეობა კი სიცივების გამო უარესი შეიქმნა, მე დაბეჯითებით მოვითხოვე გაეშვათ ლტოლვილნი. ხალილ-ბეიმ თანხმობა განაცხადა, ხოლო იმ პირობით, რომ დაბრუნების ნებართვა უნდა მისცეს ტფილისის ლტოლვილთა კომიტეტმა. მსურდა რა ამეცდინა ხიფათს ლტოლვილთა სიცოცხლე და ქონება, მე წერილობით შევეკითხე ხალილ-ბეის, იძლევა თუ არა ის ლტოლვილთა თავისუფალ დაბრუნების გარანტიას, რაზედაც მხოლოდ გუშინ საღამოთი მივიღე დადებითი პასუხი, მაგრამ ისევ იმ პირობით, თუ ლტოლვილთ დაბრუნების ნებართვას ტფილისის ლტოლვილთა კომიტეტი მისცემს. ამნაირად იმ ბრალდებას, ვითომც საქართველოს რესპუბლიკას არ სურდეს ლტოლვილების უკან დაბრუნება, არავითარი საფუძველი არა აქვს. არამც თუ სწერენ ასეთ ბრალდებას, არამედ არიან ისეთი ქველმოქმედნიც, რომელნიც ლტოლვილებს აჩქარებდა დაუყონებლივ შინ დაბრუნდნენ, რასაც ლტოლვილების დახვრეტა და ცარცვა მოსდევს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბარალეთთან, სადაც მრავალი ლტოლვილი დახოცეს, ტყვეთ წაიყვანეს და საქონელი წაართვეს. ოსმალებმა გზები შეკრეს და არვის უშვებენ, როგორც ჩვენსკენ, ისე იქით. მაშასადამე, ლტოლვილთა დაბრუნების ჩემ მიერ ნების დართვა ან ამის აკრძალვა, რაც არას დროს არ ყოფილა, საქმის მდგომარეობას არა სცვლიდა. ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განმარტება, ხოლო ვისაც სურს ჩემს სიმართლეში დარწმუნდეს, პირადად მოინახულოს ლტოლვილები ბორჯომში.

გენერალ-მაიორი მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

# მთავრობაში

### 100,000 მანეთი ავანსათ.

შტატების და ხარჯთ აღრიცხვის დაუმტკიცებლობის გამო მიეცეს გზათა სამინისტროს ავანსად 10 მილიონიან ფონდიდან 100,000 მანეთი ნოემბრის და დეკემბრის ხარჯების დასაფარავად ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

### საავტომობილო სტამბა.

ყოფილ კავკასიის ფრონტის საავტომობილო ნაწილისაგან გადმოცემულ სტამბის და საკინძავის გაყიდვის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს გზათა მინისტრს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

### 200.000 მ. ავანსათ.

მიეცეს გზათა ოლქის მმართველობას ავანსად აუცილებელი და საჩქარო ხარჯების დასაფარავად 200.000 მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან, რომელიც ჩაეთვალოს მას მიმდინარე 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვით კუთვნილში.

### სარკინისგზო კომიტეტი.

მთავრობის დადგენილება 6 სექტემბრის თარიღით შესახებ, სარკინისგზო მიმოზიდვათა კომიტეტის დაარსებისა გზათა სამინისტროსთან გადასინჯულ იქმნას და თანახმად ამისა, მოხსენება ვაგონებზე გადასახადის გადიდებაზე დაუბრუნდეს გზათა მინისტრს.

### კრედიტი ქუთაისის ოლ. სასამართლოს

გაეხსნას ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ათ მილ. ფონდიდან 114,000 მან. 70 კა. კრედიტი ბათომის მომრიგებელ სასამართლოს ყოფილ მოსამსახურეების მიერ დავალებული, საქმეების შესრულებისათვის კერძო დაქირავებით.

### სალიკვიდაციო დახმარება

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 94893 მ. 40 კ. კრედიტი სალიკვიდაციო დახმარება მისაცემად ტფ. ოლქის სასამართლოდან დათხოვნილ მოხელეთათვის.

### ბ. გ. გამსახურდიას განთავისუფლება.

ბარნაბა გიორგისძე გამსახურდია განთავისუფლებულ იქმნეს გასამართლების ყოველ გვარ შედეგისაგან და დაუბრუნდეს მას ყველა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები.

# ფინანსთა სამინისტროში

### ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის გამგემ ბ. ჭანტურიშვილმა სამინისტროს კანცელარიის დირექტორებს, მთავრობის საქმეთა მმართველს, პარლამენტის კანცელარიას და გზათა სამინისტროს, დაუგზავნა შემდეგი მიწერილობა: თანახმად ამა წლის 11 ნოემბრის მთავრობის დადგენილებისა, ფინანსთა სამინისტრო გთხოვთ, რაც შეიძლება საჩქაროდ და არა უგვიანეს 26 ნოემბრისა, მოაწოდოთ მას თქვენი უწყების 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა კი უნდა გამოეგზავნოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 31 დეკემბრისა. სამინისტრო გაუწყებთ ამასთანავე, რომ მთავრობის დადგენილებით სრული პასუხისმგებლობა ცნობის დაგვიანებისა ედებათ კანცელარიის დირექტორებს და მმართველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლიუცია გერმანიაში

## გერმანული პრესა

საქსონიიდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ ახალი სახალხო მთავრობა შემდგარა. მეფე ტახტიდან გადადგა. ყველა მინისტრები გადადგნენ.

იმპერატორი და კრონპრინცი ავტომობილებით მაასტრიტში მივიდნენ და უცდიან ჰოლანდიის მთავრობის ნებართვას, რომ ჰოლანდიაში იცხოვრონ.

ჰოლანდიიდან მოსული ცნობა, ვითომც გენერალ ფელდმარშალი ფონ-ჰინდენბურგი ჰოლანდიაში მისულიყოს, სიმართლეს არ შეეფერება. ჰინდენბურგი იმყოფება მთავარ ბანაკში და მოქმედობს ახალ მთავრობის თანხმობით.

ორ სოციალისტურ პარტიის შორის მოლაპარაკება კვირას, 10 ნოემბერს შეთანხმებით დასრულდა, მიღებულ იქმნა დამოუკიდებელ სოც.-დემ. მოთხოვნილებები. ამის შემდეგ ახალი სახალხო მთავრობა, რომელშიაც უმთავრესათ შედიან სოც.-დემ.: ებერტი, შეიდემანი, ლანდსბერგი დამოუკიდებელი სოც.-დემ. ჰააზე, დიტმანი და ბარტი. მინისტრთა კაბინეტში, რომელშიც მხოლოდ სოციალისტები შედიან შევლენ კიდევ მთავარ დეპარტამენტების მინისტრები ბურჟუაზიულ პარტიებისაგან. ყოველ მთავარ დეპარტამენტის მინისტრთან დანიშნული იქნება თანასწორ უფლებით თითო წევრი ორივე სოციალისტურ პარტიათაგან. ჯგუფის შეკავშირებას ბერლინის მცხოვრებნი სიხარულით შეხვდნენ. ეს შეკავშირება მიილოჳ დიდი ხმის უმეტესობით მუშათა ჯარის-კაცთა საბჭომ, რომლის სხდომასაც 3000-მდე კაცი დაესწრო. ებერტი და ჰააზე ლიდერებათ ითვლებიან. კაბინეტში, რომელსაც სახელათ დაერქვა „სახალხო კომისართა საბჭო“ წინანდელი რეჟიმის ადგილი, როგორც ამის შესახებ უკვე იყო ცნობა, 9 ნოემბერს ბერლინში ახალმა მთავრობამ დაიჭირა და შესდგა მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭო. რევოლიუციონური მოძრაობა მთელ გერმანიაში ძლიერდება. ცნობები მოდის, რომ ყველგან მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოები სდგება. რევოლიუციონური მოძრაობა საერთოდ სწარმოებს უმტკივნელოდ და უსისხლოთ. ბევრგან სამხედრო და ქალაქის ადმინისტრატორებმა დაუყონებლივ იცნეს მუშათა და ჯარ-ის-კაცთა საბჭოები. ზოგ ქალაქში დემონსტრაციები და გაფიცვები მოხდა, რომლემაც საერთოდ მშვიდობიანად ჩაიარა.

### ზავი და გერმანია.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს პ რ ე ს ა.

ბერლინი, 11 ნოემბერი. 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სტატს-სეკრეტართა თათბირი შესდგა. დროებითი ზავის დებულებათა გადასინჯვის შემდეგ, დროებითი ზავის პირობები მიიღეს. სამშვიდობო დელეგაციას შესაფერი ცნობები მისცეს. 11 ნოემბერს, ღამით, ვაშინგტონში სტატს-სეკრეტარს ლანსინგს შემდეგი ნოტა გაუგზავნეს: „ბატონო, სტატს-სეკრეტარო, გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიას და ამერიკას საერთო დემოკრატიული მიზნები, იდეალები აქვს. შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გერმანიამ წინადადებით მიმართა მშვიდობიანობა და ზავი აღადგინოს. ზავი უნდა შეეფერებოდეს იმ პრინციპებს, რომელთაც იზიარებდა თვით პრეზიდენტი და რომელნიც გულისხმობენ ყველა სადაო საკითხების სამართლიანად გადაჭრას და ხალხთა შორის მტკიცე ზავს. შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ვერ გაბედავდა გერმანიის ხალხთან ომს და რომ მას განზრახვა არა აქვს ხელი შეუშალოს გერმანიის ხალხის მშვიდობიან განვითარებას. გერმანიას მიუვიდა დროებითი ზავის პირობები. 50 თვის ბლოკადის შემდეგ ეს პირობები და განსაკუთრებით სატრანსპორტო ფლოტის გადაცემა მაშინ, როცა ბლოკადა გრძელდება სურსათის მხრივ გერმანიას უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებს. რამოდენიმე მილიონ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სიმშილისაგან სიკვდილს გამოიწვევს. ჩვენ იძულებულნი ვართ პირობები მივიღოთ. ჩვენ სერიოზულად მივაქცევთ პრეზიდენტ ვილსონის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ პირობების ცხოვრებაში გატარება გერმანიის ხალხში გამოიწვევს მის საწინააღმდეგო გრძნობას, რომელიც შეადგენს აუცილებელ პროლოგს ხალხთა ლიგის დასაარსებლად და სამართლიან ზავის უზრუნველსაყოფად. ამის გამო გერმანიის ხალხი ამ უკანასკნელ საათში ერთხელ კიდევ მიმართავს პრეზიდენტს დაბეჯითებითი თხოვნით, რომ მან მოკავშირეებთან ერთად გადასინჯოს და გააუმჯობესოს ის პირობები, რომელიც აუტანელი და მძიმეა გერმანიისთვის.

---

# ე რ ო ბ ა.

### არჩევნები.

დუშეთიდან საერობო კომისიის თავმჯდომარე დეპეშით აცნობებს მთავარ საერობო ინსტრუქტორს, რომ პოლიტიკურ პარტიათა მიერ წამოყენებული კანდიდატები თანხმობას აცხადებენ; ფედერალისტთა სიაში მაყაშვილის შეტანა კომიტეტმა შესაძლებლად დაინახა და არჩევნებიც გრძელდება, გათავდება კი სამ დღეში. მაზრის საერობო ინსტრუქტორი დ. ჩხეიძე არჩევნების გათავების შემდეგ გაემგზავრება თიანეთის მაზრაში ერობის შემომღებ კამისიების მოსაწყობად და არჩევნებისათვის წინასწარ მუშაობის გასაჩაღებლად.

### რაჭა-ლეჩხუმი.

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს ამ ორ მაზრაში ანარქიის ლიკვიდაციის და ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობის შემდეგ იქ დაწყებულა ენერგიული მუშაობა ერობის საჩქაროდ შემოსაღებათ. რაჭის მაზრაში წინასწარი სამუშაო თითქმის გათავებულია და ახლო მომავალში შესაძლებელია არჩევნების დაწყებაც, ლეჩხუმის მაზრაში კი მუშაობას აფერხებს ინტელეგენტურ ძალების ნაკლებულება. ამ მხრით მთავარ ინსტუქტორისაგან მიღებულია ზომებ იმ სახით, რომ უკანასკნელმა მიმართა თხოვნით ქუთაისის საერობო კომისიას, გაუგზავნოს ლეჩხუმში მომზადებული ინსტრუქტორი (რადგან ასეთი ადგილობრივათ არ მოიპოვება.) ამ რიგათ ახლო მომავალში მთელ საქართველოს რესპუბლიკაში იქნება ერობა.

### შორაპნის ერობა.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს: „შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობამ, თანახმათ ამავე ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებისა, 13 ოქტ. 1918 წ. აღძრა ჩემს წინაშე შუამდგომლობა რათა მე მოვახდინო ჯეროვანი განკარგულება მათთვის 30,000 მან. კრედიტის გახსნისა და ამ ფულის გადმოსაგზავნათ ქ. ყვირილის ხაზინაში აღნიშნულ ერობის სახელზე. თანხა ესაჭიროება გამგეობას სხვა და სხვა წინასწარი ხარჯების დასაკმაყოფილებლათ. მოგახსენებთ რა ამ გარემოებას და ვილებ რა მხედველობაში, რომ კრედიტის გახსნა შეადგენს სამინისტროს უფლებას, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე დააკმაყოფილოთ ეს თხოვნა.

### ოზურგეთის ერობა.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ თანახმად საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობის დადგენილებისა, 7 წიფობისთვეს მან აღძრა შუამდგომლობა კომისარის წინაშე, რათა გამგეობას დაჩქარებით მისცემოდა ოზურგეთის ხაზინიდან 20,000 მანეთი საკანცელიარიო და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ, რომელი თანხაც ნებართვის მიღებისთანავე უნდა გადარიცხულიყო ოზურგეთის სამაზრო ერობის მიმდინარე ანგარიშში. ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა უგზავნის ამ შუამდგომლობის ასლს გუბ. კომისარს და სთხოვს მას აცნობოს გამგეობას, რა განკარგულება მოხდა ამ შუამდგომლობის შესახებ.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს დააკმაყოფილოს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის მოთხოვნილება.

### წვრილი ერთეული.

წვრილი საერობო ერთეულების კომისიის სხდომა. ქუთაისის ერობის ბინაზე მოხდა წვრილი საერობო ერთეულების კომისიის სხდომა. კრებამ იქონია თათბირი წვრილი ერთეულების შესახებ და დაადგინა: წვრილი ერთეულების შექმნას საფუძველათ დაედება ძველი საზოგადოებების ფარგლები, და ზოგ ადგილას მოხდება გადამიჯვნაც, თუ ამას მოითხოვს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები. წვრილ ერთეულების ფარგლებში უნდა შედიოდეს არა ნაკლები 3000 კომლისა. თუ ზოგიერთი სოფლები მოინდომებენ, ცალკე წვრილი ერთეულების შექმნას, შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ეს სოფელი გასწევს მთელ ხარჯებს; მას დაამტკიცებს სამაზრო ერობა.

---

# ქალაქის საბჭო

### ჯამაგირების შესახებ

ორშაბათს, 11 ნოემბერს, ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება შესდგა.

ქალაქის მოურავის მოადგილემ გ. გ. კონიევმა დღის წესრიგის გარე საბჭოს მოახსენა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ქალაქის ფინანსები. ამ დღეებში ძლივს დაურიგეს მოსამსახურეთ აგვისტოს ჯამაგირები და სექტემბრის და ოქტომბრის ჯამაგირებს ამ წლის დამლევამდე ვერას გზით ვერ მივსცემთ, თუ რაიმე სხვა ღონისძიება ვერ ვიშოვეთო. ეს გარემოება კარგად იციან მოსამსახურეებმა, რაც მათ აღელვებთ და მათ დელეგატებს რამდენიმე თათბირი ჰქონდათ ჯერ ცალ-ცალკე და შემდეგ ქალაქის გამგეობასთან შეერთებით. ამ თათბირზე იქამდე მივიდა საქმე, რომ აღძრული იყო საკითხი ქალაქის უძრავ ქონების დაგირავების შესახებ, მაგრამ თვით მოსამსახურეთა წარმომადგენელნიც ამის წინააღმდეგნი იყვნენ. დარჩა ერთი გზა მოსამსახურეთა საშველად. ეს გზა მიგვიყვანს მთავრობასთან სათხოვნელად 6 მილიონ მან. სესხისა, რომელსაც დაემატება მომდინარე შემოსავალი და წლის დამლევამდე გვეყოფა ჯამაგირების დასარიგებლათო. შემდეგ, მოხსენებიდანა სჩანს, რომ ამ დღეებში გამგეობას მიუღია მთავრობისაგან $1^1/_2$ მილიონი მილიციონერების ჯამაგირის მისაცემად.

ამგვარ შუამდგომლობის აღძვრის წინააღმდეგი მთავრობის წინაშე არავინ არ იყო, მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ გამგეობას მილიცია და ტრამვაის მუშები მთლად დაუკმაყოფილებია ჯამაგირით ნოემბრამდე, იმ დროს, როდესაც დანარჩენი ქალაქის მოსამსახურენი 2—3 თვის ჯამაგირი ჯერ არ მიუღიათ და საშინელ გაჭირვებაში არიან, დიდი კამათი გამოიწვია.

ხმ. ხუდადოვი წინააღმდეგია მილიციის და ტრამვაის მუშების ამგვარ პრივილეგიის მიცემაზე. მათ რომ ცოტა დაჰკლებოდათ ჯამაგირები და ის ნაწილი იმ $1^1/_2$ მილ. გაეყოთ დანარჩენ მოსამსახურეთა შორის უკანასკნელთა შორის არ იქნებოდა სიმშილი და ავადმყოფობაო. ამიტომ ხმოსანი ამბობს, რომ ჯამაგირის დარიგება უნდა მოხდეს ყველასთვის ერთ დროს და არა მეტ ნაკლები.

ხმ. პოპოვის (ს. დ.) აზრით მილიციას პირველ რიგში უნდა მიეცეს ჯამაგირები. ამას მოითხოვს პოლიტიკა და თითონ დანარჩენ მოსამსახურეთა კომიტეტიც გრძნობს ამას და ამ საგანზე გამგეობასთან ერთად მოქმედებს.

ხმ. ხანდანოვს წინადადება შეაქვს საბჭომ გამოუცხადოს ქალაქის მოხელეთა თავისი სიამოვნება მათ მოქმედების და ვალდებულების აღსრულების შესახებ, რომ ჯამაგირების მიუღებლობისა გამო არავითარ ექსცესებისთვის ალაგი არ მიუციათ.

მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საქმე სისწრაფეს მოითხოვს თავის გადაწყვეტილებაში იმიტომ, რომ 12 ნოემბერს საღამოთი დანიშნულია დელეგატთა კრება ამ საგანზე. ეს კრება შეიძლება უკანასკნელი იყოს და ამიტომ საჭიროება მოითხოვს, რომ საღამომდე პასუხი მივიღოთ. ამ შუამდგომლობის წარსადგენად მას საჭიროდ მიაჩნია მთავრობას წარუდგეს საბჭოს მიერ ამორჩეული დელეგაცია და დელეგატთა რიცხვში მოსამსახურეთა წარმომადგენელიც უნდა იყოსო.

კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას 6 მილიონის სესხის თაობაზე და ამ შუამდგომლობის წარსადგენათ აირჩია დელეგაცია, რომელსაც შეადგენენ ხმოსნები ჯიბლაძე (ს. დ.), ქარცივაძე (ს.-რ.), თადევოსიანცი (დაშნაკ.), ბარათაშვილი (ს.-ფ.), წვერავა (ნ. დ.), ნათაძე (დამოუკ. ს.-რ.), ხანდანოვი (კად.), ქალაქის გამგეობის საფინანსო განყოფილების გამგე წევრი და ერთი წარმომადგენელი მოსამსახურეთა კავშირისაგან.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა რამდენიმე ქალაქის წვრილი საქმეები, რის შემდეგ ღამის 11 საათზე კრება დაიშალა.

### მომავალ არჩევნებისთვის.

ქალაქის საბჭოს მიერ დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს საბჭოს ხმოსანთა არჩევნებისთვის წინასწარ შესამზადებული მუშაობა, საბჭოს მდივნის ვ. თ. ხახანაშვილის მოხსენებისამებრ დაადგინა გაჰყოს ქალაქი ხმოსნის არჩევნებისთვის 50 ნაწილად და მე-51-ე ნაწილად ჩასთვალოს ავჭალის წყლის მდინარეს წყალსადენი მილის ტერიტორია.

---

ქალაქის საბჭოს არჩევნების მოსამზადებელ კომისიამ გადასწყვიტა არჩევნების დროებითი კანცელიარიაში მომუშავეთ დაუნიშნოს დღეში 18 მან., მოქალაქეთა გადაწერაზე ბარათების შესადგენათ მომუშავეთ დაენიშნოს 20 მან. თითოს დღეში და კონტროლირებს— 25 მან. დღეში გასამჯელო.

### ქართული ენა

ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მოხსენება ქალაქის დასაწყის სკოლებში ამ წლიდგან სახელმწიფო ქართული ენის სწავლის შესახებ და წლის დამლევამდე ამისთვის გადასდო 4767 მან.

### შემწეობა.

ქალაქის საბჭომ დაადგინა: მიეცეს შემწეობა მოკლულ უფროს მილიციონერის გასან ხან მინასაზოვის ქვრივს გიულბახირ მინასაზოვისას 1800 მან., მოკლულ უმცროს მილიციონერის სიმონ ფეიქარაშვილის დედას ნინო ფეიქარაშვილისას 1920 მან. და მოკლულ უმცროს მილიციონერის ეფიმ სულაძის ქვრივს ელენე სულაძისას 1500 მან.

---

ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს მ. ი. თოიძეს ქალაქის საბჭომ დაადგინა მიეცეს 4894 მან. 92 კაპ. შემწეობა.

---

ქალაქის 1 განყოფილების სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველად ნამყოფ ს. უროტაძეს ქალაქის საბჭომ 2800 მან. შემწეობა მისცა.

### იაფ-ფასიანი პური.

ქალაქის გამგეობამ 12 ნოემბრიდან იაფფასიან პურის გაყიდვა დაიწყო პირველ დღეს გამოაცხო 700 ფუთი პური, რომელიც დაურიგა იმ ხალხთა და უბნების კომიტეტებს, რომელთაც აულიათ სასურსათო კომიტეტებიდან ამ პურის მისაღებათ დაარსებული ბარათები. ბარათების მომატებისამებრ იაფ-ფასიან პურის გამოცხობასაც მოუმატებენ, სანამ დღეში 4,000 ფუთამდე მიახწევენ. სახლების კომიტეტებს უფლება არა აქვთ ეს პური რვა აბაზზე ძვირად გაყიდონ. სულზე ნახევარი გირვანქა პური ეძლევა.

---

# ქ რ ო ნ ი კ ა

○ მთავრობის თავმჯდომარემ და სახალხო გვარდიის შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო ვალ. ჯუღელისაგან: „7 ნოემბერს საღამოს საჩქარო საქმისთვის წამოვედი სოჭიდან ტფილისში მოხალისეთა გემ „ტიტანითა“. ზღვის ძლიერი მღელვარების გამო კაპიტანი იძულებული გახდა გაგრის ახლო გემი უკანვე მოებრუნებია. თუ როგორ ძლიერი იყო ზღვის ღელვა, იქიდანა სჩანს, რომ წყალი პალუბაზე ასხამდა და იმის გამო 1 ბავშვი დაიღუპა. სოჭის მახლობლად რომ გავიარეთ, მე ვსთხოვე კაპიტანს სოჭაში გადავესხით, ვინაიდან ამინდი არ დგებოდა. კაპიტანის თანაშემწე ჩემს თხოვნას ირონიულად შეხვდა, რის შემდეგ მე ენერგიულად მოვითხოვე ჩემთან კაპიტანი. კაპიტანმა აგვიხსნა მე და ჩემთან მყოფ როტმისტრს ლოლაძეს, რომ ცუდი ამინდის გამო შეუძლებელია სოჭაში შესვლა. მე დავსთანხმდი და ინცინდენტი ამით გათავდა. ტუაფსეში შესვლისას კაპიტანის თანაშემწემ აცნობა მთავრობას ჩემზე, რომ თითქოს მე მინდოდა მისი მოკვლა, ამისთვის მე დამაკავეს და ხელწერილი ჩამომართვეს, რომ ტუაფსედან არ გავიდე. ამაზე ადგილობრივმა მთავრობამ აცნობა ნოვოროსიის გენ.-გუბერნატორს. პასუხი ჯერაც არ არის. ჩემთან არიან 5 სახალხო გვარდიელები. ჩვენ ყველას იარაღი აგვყარეს და ყოველ საათში ველით ამ საკითხის გადაწყვეტას. ვსთხოვ საქართველოს მთავრობას მიიღოს ზომები, გაგვანთავისუფლონ ტყვეობიდან“.

○ გენ. კონიაშვილისაგან 11 ნოემბერს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო სოჭიდან: „გაცნობებთ, რომ დღეს ტუაფსიდან მივიღე შემდეგი დეპეშა: რაზმის უფროსის ბრძანებით ჯუღელი და მისი კომანდა პირველი გემით ჩამოვლენ სოჭაში პოლკ. გლინსკი“. აქ სიწყნარეა.

○ დღეს, ახალ კლუბში გამართულ იქნება საღამო კავკასიაში მცხოვრებ შვეიცარიელების ინტერესების დამცველ შვეიცარიის საზოგადოების სასარგებლოთ. გამართული იქნება კონცერტი-წარმოდგენა ბალეტით და მის შემდეგ ლოტოს თამაშით. საზოგადოებას ნება აქვს დართული ეს საღამო ღამის 3 საათამდე განაგრძოს.

○ 16 ნოემბერს შესდგება ყარაიაზში გადასახლებულ პირთა კრება სხვა და სხვა საკითხთა გასარჩევათ.

○ დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება სასოფლო კომისიის კრება.

○ 11 ნოემბერს მუხრანის ხიდთან უცნობ ბოროტ-მოქმედთ ატეხილ სროლის დროს მოჰკლეს მ. სარქისიანცი.

○ 11 ნოემბერს ლორის მელიქოვის ქუჩაზე სვანიძის მაღაზიიდან წაიღეს უცნობ ბოროტმოქმედებმა 150 ათასი მან. ღირებული საქონელი. ეჭვით შეიპყრეს მისი მოწაფე გეორგობიანი.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.